№ 267

შაბათი, 9 დეკემბერი, 1900 წ.

1877—1900

# ივერია

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10— | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

№ 267

შაბათი, 9 დეკემბერი, 1900 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ნინო ილარიონის ასული, მიხეილ, ილია, კონსტანტინე, ვახტანგ და ალექსანდრე ნიკოლოზის ძენი რატიშვილები, ეკატერინე ნიკოლოზის ასული, პავლე ნიკოლოზის ძე სტროევები, გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი ქმრისას, ხოლო მეორენი ძვირფასის მამისას პოლკოვნიკის

## ნიკოლოზ სოლომონის ძის რატიშვილისას,

სთხოვენ მობრძანდნენ პანაშვიდზედ დასასწრებლად 9 ¢ 10 დეკემბერს, შუადღის 12 და საღამოს 7 საათზედ. მიცვალებულს გამოასვენებენ ნიკოლოზის ქუჩიდამ № 15 წმ. მოციქულის თომას (კვირაცხოვლის) ეკლესიაში კვირას, 10 დეკემბერს, ხოლო დასაფლავებულ იქნება სოფ. ქსოვრისში 11 დეკემბერს.

(2—258—1)

კვირას, 10 დეკემბერს, ნახევარის წლის შესრულების გამო სტატსკი სოვეტნიკის

## ექიმის მიხეილ იესეს ძის სულხანიშვილის

გარდაცვალებიდგან, წირვა და პანაშვიდი იქმნება გარდახდილი სამების ეკლესიაში, რასაც განსვენებულის ქვრივი და ასულნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ.

წირვა დაიწყება დილის 10 საათზედ, პანაშვიდი—11½ საათზედ.

(1—259—1)

ხანგრძლივის და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 6 დეკემბერს, ქ. ბაქოში, გარდაიცვალა

## ეკატერინე სვიმონის ასული თუთაევისა,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მისი ალალო, შვილი დავითი, რძალი ანნა, და მარიამ ხახანოვისა, ძმა ისააკ მელქუევი, მულები ეკატერინე გულიანცი და კნ. ელისაბედ ფავლენიშვილისა და იოსებ თუთაევი.

მიცვალებული წაასვენეს ქ. გორში, სადაც, 10 დეკემბერს, წირვისა და პანაშვიდის გარდახდის შემდეგ სომეხთა ღვთის მშობლის ეკლესიაში, დაკრძალულ იქმნება.

(1—260—1)

## ქართული თეატრი

**ხუთშაბათს, 14 დეკემბერს,**

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ ვ. ალექსი-მესხიშვილისა და ნ. ჩხეიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

## ვ. ბ. გედევანოვის საბენეფისოდ

პირველად ახალი პიესა:

I

## ბრძოლაში

დრამა 3 მოქმედ. პოლერვიესი, თარგ. ივ. მაჩავარიანისა.

II

## დავით რაბინი

კომედია 3 მოქმ., ერკმან-შატრიანისა, თარგ. ავ. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ჩხეიძისა, ჩერქეზიშვილი, კარგარეთელი, ნებიერიძისა, გარელი; ბ-ნნი ალექსი მესხიშვილი, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, ურუშაძე, მირიანოვი, იმერიძე და სხ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. **დასაწყისი 8 საათზედ.**

რეჟისორი **ვ. გუნია**

მზადდება კ. შათირიშვილის საბენეფისოდ „პატიოსნება“, ზუდერმანის ოთხ-მოქმედებიანი დრამა.

**წმ. ნინოს დედათა საქველმოქმედო საზოგადოების თელავის განყოფილების გამგეობა**

ამითი აცხადებს, რომ თელავის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში განთავისუფლდა **საიმპერატორო სტიპენდია**. სტიპენდია კენჭის ყრით დაინიშნება. კენჭის ყრა მომავალ 1901 წლის 14 იანვარს მოხდება. ვისაც სურს კენჭი უყარონ, იმან თხოვნა და საჭირო საბუთის ქაღალდები გამგეობის სახელზედ უნდა გამოგზავნოს. თხოვნების მიღება 1901 წლის 10 იანვარს შესწყდება.

(3—უ.—3)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

ვ. ი. **ჭიჭინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. **მულინი**. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. **ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

ა. ნ. **შატილოვი**—თვალისა 11—12 საათ.

დ. ა. **გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ვ. ლ. **მარკევიჩი**, სადოსტაქრო.—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. **ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

**საღამოთი:**

ი. ნ. **თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. **გელოგოლოვი**—შინაგანი და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

ბ. ა. **ნავასარდიანი**. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) ¢ საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. ე. **ჩიქოვანი**. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. **ბაგანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ქ. ი. **გძელიშვილი**. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. **კარაპეტიანცი**. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

ა. ნ. **შპაკოვსკი**.—6—7 საათ. ნერვიბით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

გ. ა. **თარხანოვი**—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

ბ. ა. **ნავასარდიანი**. 7½—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. **არვანიტაკი**—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## სამკურნალო კაბინეთი

დოქტორის

## ი. იაკ. გოკიელისა,

იღებს **ვენერიულ** (სიფილისი), **საშარდე, კანის და შინაგან სნეულებათა ავადმყოფებს**. წამლობა ნერვების სისუსტისა ელექტრონით.

ავადმყოფებს მიიღებს დილის 9—12 ს. და საღამოს 5—8 საათამდე.

მიხეილისა და ნემენცთა ქუჩების კუთხე, № 81, სლივიცკის სახლი. შესავალი ნემენცთა ქუჩიდგანა აქვს.

(100—256—1).

ტფილისი, 9 დეკემბერი

ხვალ, 10 დეკემბერს, უნდა შესდგეს წარსულ კვირისათვის დანიშნული და საკმაო წევრთა დაუსწრებლობისა გამო არ შემდგარი ტფილისის დურგალთა ამხანაგობის „შრომის“ წევრთა საზოგადო კრება, რომელმაც, სხვათა შორის, უნდა განიხილოს მთავრობისაგან ახლად დამტკიცებული წესდება და შემოიღოს იგი სამოქმედოდ. გავიხსენოთ, რომ ხვალინდელი კრება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, კანონიერად ჩაითვლება და მისი გარდაწყვეტილება — სავალდებულოდ ყველა არ დამსწრე წევრისათვის. ამიტომ, რასაკვირველია, უთვლად სასურველია, რომ წევრთა უმეტესმა ნაწილმა მოიყაროს თავი ამ კრებაზედ.

ჩვენ არ შევეხებით იმ ათასგვარ მითქმა-მოთქმასა და ჭორებს, რომელიც საზოგადოებაში თურმე ტრიალებს ამ ამხანაგობის შესახებ და რომელსაც ავრცელებენ ამხანაგობის მიერ უარყოფილნი და ამის გამო მისი უკმაყოფილო წევრნი. ასეთი ჭორი, სამწუხაროდ, ყველა საქმეს, მეტადრე ქართულს, თან დასდევს და იგი არასოდეს არ არის აღმნიშვნელი საქმის ნამდვილი ვითარებისა. ეს ვითარება საქმისა-კი ასეთია.

ამ რამდენისამე წლის წინად ტფილისში შესდგა დურგალთა ამხანაგობა „შრომა“. ხელოსნები სიამოვნებით მიეგებნენ ამ შეერთების სურვილს და საწევრო ფული (თუმანია) ოთხმოც თუმნამდე შეიკრიბა. მაშინვე ორიოდე ქართველი შეგნებული კაციც მხარში ამოუდგა ხელოსანთა სურვილს, უსასყიდლოდ იკისრა ამ საქმის მოწყობა, წესდება შეადგინა და წარუდგინა მთავრობას დასამტკიცებლად, მომუშავე ამხანაგთა და ხელოსანთა ურთი ერთობის საქმე გააწესრიგა, საქმის საწარმოებელი დავთრების გაძღოლა იტვირთა და სხვანი, რაც თავისდა თავად ჩვენს ხელოსნებს, რომელთა შორის, სამწუხაროდ, განათლებული და განვითარებული ასე მცირედ მოიპოვება, ვერ შეეძლოთ *). ამ სახით, „შრომის“ ამხანაგობამ დღევანდლამდე მოაღწია. ამ მცირე ძირეულის თანხით, რომელიც უმთავრესად სახელოსნოს მოწყობაზედ დაიხარჯა, იგი ამუშავებდა 15-მდე ხელოსანს, მშვენიერი სახელოსნო გააწყო მადათოვისეულს კუნძულზედ და აქამდე ზარალი არ უნახავს, პირ-იქით, მცირეოდენი მოგებაცა აქვს დარჩენილი.

*) ჩვენ გაოცებით ამოვიკითხეთ 2 დეკემბრის „ცნობის ფურცელში“ საყვედური, რომ „ხელოსნების საქმეში ჩაერივნენ ისეთები, რომელთაც არაფერი საერთო არა ჰქონდათ ხელოსნობასთან და უარესად არივ-დარივეს საქმეო“. ეს საყვედური იმათ მიმართ, რომელთაც დიდი შრომა და ზრუნვა გასწიეს ამ ამხანაგობის გასაწესრიგებლად უსასყიდლოდ და ამ საქმეს დრო და ძალ-ღონე შეალიეს, სწორედ დიდი უსამართლობაა და უეჭველია გამოწვეულია იმითი, რომ გაზეთი აჰყოლია უკმაყოფილო წევრთა მითქმა-მოთქმას და საქმის ჯეროვანად გამოურკვევლად იმეორებს „გავრცელებულს ხმას“, რომელსაც სარჩულად პირადი ინტერესი უდევს და არა საზოგადო სარგებლობა. რასაკვირველია, სასურველია, რომ თვით ხელოსნებს შეეძლოთ საქმის გაძღოლა, მეტადრე ისეთის საქმისა, სადაც, კერძოდ ხელოსნობის გარდა, ათასი წვრილმანი განვითარებულსა და მცოდნე კაცს მოითხოვს, მაგრამ ვიდრე ასეთი ხელოსნები არა გვყავს, დიდი უსამართლობაა გაკიცხვა იმ ინტელიგენტებისა, რომელნიც ხელოსანთა კეთილს სურვილს შეერთებისა და საერთოდ მოქმედებისას მხარში ამოუდგებიან და თავისის ცოდნითა და გამოცდილებით დახმარებას აღმოუჩენენ.

ავტ.

რასაკვირველია, შეძლების სიმცირე, თანხის უქონლობა ამხანაგობას მეტად უშლიდა ხელს გაეფართოებინა თავისი საქმე, მასალის ნარდად და იაფად ყიდვა შესძლებოდა, გაეიაფებინა ნაწარმოები და მეტოქეობა გაეწია ჩარჩ-ვაჭრებისათვის, რომელნიც ბოგანოდ დარჩენილ ხელოსნების ნაკეთობას ნახევარ ფასად ჰყიდულობენ მისის გაჭირვების დროს და მომხმარებელზედ ერთი ორად ჰყიდიან, სცდილობენ მშრომელს, მკეთებელს, ხელოსანს ლუკმა მოუჭრან, მომხმარებელს ნაწარმოები გაუძვირონ და სარგებლობა ამ ორთა შუა ჩაჩხირვით მარტო თითონა ჰნახონ. მაგრამ მაინც ამხანაგობამ დღევანდლამდე მოაწია ისე, რომ, ჯერ ერთი, არ დაზარალებულა და, მეორე, აშკარა ჰყო თვისის არსებობის სიკეთე როგორც ხელოსნებისა, ისე მომხმარებლებისათვის.

1900 წლის 13 მაისს ფინანსთა მინისტრმა მცირეოდენის ცვლილებით დაამტკიცა დურგალთა ამხანაგობის წესდება, რომლის შემოღება ამხანაგობას 1901 წლის პირველ იანვრიდგან განუზრახავს. ახალის წესდებით, დურგალთა ამხანაგობა არსდება ტფილისში იმ აზრით, რომ „იყიდოს ხოლმე ნარდად და ერთბაშად სადურგლო მასალა, გააკეთოს სხვა-და-სხვა სადურგლო ავეჯი და ჰყიდოს; დახმარება აღმოუჩინოს ამხანაგობის წევრთა და მათს ოჯახს ზემოხსენებულ ავეჯის კეთების დროს“ (მუხ. 1), იქონიოს ტფილისში მაღაზიები, იქირაოს ქარგლები, მიიღოს შეგირდები ხელობის შესასწავლად და სხვანი (მუხ. 2—5). წესდებით, საწევრო ფული გადიდებულია 25 მანეთამდე და წევრთა რიცხვი ათზედ ნაკლები არ უნდა იყოს.

ამ გვარად, ამხანაგობის საქმე მომავალ წლიდგან კანონიერს საფუძველზედ სდგება და, წესდების ძალით, იგი ექვემდებარება ტფილისის გუბერნატორის მეთვალყურეობას **). სასურველია მხოლოდ, რომ ამხანაგობას რიგიანნი და საქმის გულ-შემატკივარნი პატრონნი გამოუჩნდნენ, ქართველი საზოგადოება თანაგრძნობით მიეგებოს, წევრები მრავლად ჩაეწერნენ (ამ ჟამად ამხანაგობას 25 მანეთიანი წევრი 15-მდე ჰყავს) და შეაძლებინონ ამხანაგობას იმ კეთილის აზრის განხორციელება, რომლისათვისაც იგია დაარსებული. ეს კეთილი აზრი-კი ის არის, რომ გააიაფოს სადურგლო ნაწარმოები, მწარმოებელსა და მომხმარებელს შუა ჩამდგარი ჩარჩი განაძევოს, ალაგმოს დამზადებულ სადურგლო ნაწარმოებით მოვაჭრეთა თავ-გასულობა და მუშა ხელოსანი დაიხსნას ამ ვაჭართა მიერ გათახსირებისაგან.

სასურველია ამასთანავე, რომ ჩვენი ინტელიგენცია-კი არ მოერიდოს ამ გვარ ხელოსანთა კავშირებს, არამედ თავისის ცოდნითა და გამოცდილებით დახმარება და შემწეობა აღმოუჩინოს და ამ საკეთილო საქმის წარმართად წარმოებას მხარი მისცეს. რიგიანისა და საქმის გულ-შემატკივარ ინტელიგენტთა ჩარევა-კი არ „არევდარევს საქმეს“, არამედ შეერთებულის შრომით უფრო გააადვილებს მისს განხორციელებას.

სასურველია აგრეთვე, რომ ხვალინდელს კრებას დაესწრნენ და ეს ახალი წესდება გაიცნონ სხვა ხელოსნებმაც, მაგალითებრ, თერძებმა, მეჩექმეებმა, ზეინკალებმა და სხვათ, და ეცადნენ ასეთ ამხანაგობათავე დაარსებას, მით უმეტეს, რომ ამ გვარ ამხანაგობათ მთავრობა თანაგრძნობით ეგებება და სწორედ ამ თანაგრძნობის გამო მისი დაარსება ასე გაადვილებულია, როგორც ამას დარწმუნდებიან „ტფილისის დურგალთა ამხანაგობის“ წესდების გაცნობითაც.

ფარნაოზი

**) ღირს-აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სახელოსნო გამგეობა, რომელიც ყველა ხელოსანთა საქმეს განაგებს, პირველში თითქოს მტრულად შეეგება ამხანაგობის დაარსებას და ათას გვარი დაბრკოლება აღმოუჩინა ამ საქმეს. ავტ.

# ახალი ამბავი

*** 6 დეკემბერს მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის სახელწოდების დღეს ტფილისის სახაზინო თეატრში დილის წარმოდგენა იქმნა გამართული, რომელზედაც მთავარ-მართებლის მეუღლემ კნ. მ. თ. გოლიცინისამ მოიწვია ადგილობრივ საშუალო სასწავლებელთა მოსწავლე—ქალნი და ვაჟნი თავიანთ აღმზრდელებითურთ. წარმოდგენილი იქმნა რიმსკი-კორსაკოვის ოპერა „სადკო“. წარმოდგენის ხარჯი იკისრა კავკასიის მთავარ-მართებელმა თავ. გოლიცინმა.

*** გუშინ, 8 დეკემბერს, სათავად-აზნაურო სასწავლებელი დაათვალიერა გუბერნიის მარშალმა თ. დ. ზ. მელიქიშვილმა. დაესწრო ქართულის და რუსულის ენების გაკვეთილებს პირველ კლასში და მეოთხე განყოფილებაში. პანსიონის გაცნობის შემდეგ ნახა საავადმყოფო, სადაც სამი შეგირდი იყო ავად, გამოჰკითხა მათ რითი არიან ავად და უსურვა მალე მორჩენა. თავ. მელიქიშვილი პირველის ნახევარზედ მივიდა სასწავლებელში და დაჰყო ორს საათამდე. სასწავლებელში დახვდნენ მას ინსპექტორი სკოლისა და კომიტეტის წევრი გ. დ. ჟურული. ბ-ნი მარშალი კიდევ აპირებს სკოლის დათვალიერებას ამ დღეებში. დღეს ბავშვებს საჩუქრად კონფეტებს დაურიგებენ დ. ზ. მელიქიშვილის ხარჯით.

*** ტფილისის გუბერნიასა და ზაქათალის ოლქში სახელმწიფო საბეგრო და საადგილ მამულო გადასახადი უკვე გაწერილ იქმნა მომავალ სამის წლისმთვის (1901 წ. 1 იანვრიდგან დაწყებული) და კავკასიის მთავარ-მართებელმაც დაამტკიცა იგი. საშუალო შემოსავალი თვითვეულის დესეტინა მიწისა, რომელზედაც გაწერილია საბეგრო გარდასახადი,—უდრის 3 მანეთსა და 93 კაპ., ხოლო იმისი, რომელზედაც საადგილ-მამულო გარდასახადია გაწერილი—3 მან. 7 კაპ. გარდასახადი გაწერილი აქვს სულ 2,466,482 დესეტინას, აქედგან საბეგრო გარდასახადი გაწერილია 928,962 დეს., რაიცა 3,640,057 მან. შემოსავალს იძლევა, ხოლო საადგილ-მამულო გარდასახადი გაწერილია 1,536,520 დეს., რომელიც 4,733,671 მან. შემოსავალს იძლევა. ტფილისის გუბერნიასა და ზაქათალის ოლქში სახელმწიფო საბეგრო გადასახადი გამონაგარიშებულია სულ 480,0 0 მან., რომელიც ასეა განაწილებული: ტფილისის მაზრა—43,950 მან., ბორჩალოსა—48,516 მან., გორისა—16,988 მან., ახალციხისა—23,654 მან., ახალქალაქისა—39,331 მან., თელავის—39,203 მ., თიანეთისა—10,824 მ., სიღნაღისა—128,638 მ. და დუშეთის მაზრა—16,822 მ., ზაქათალის ოლქი—116,084 მ. სახელმწიფო საადგილ მამულო გადასახადი გამონაგარიშებულია სულ 75,525 მ., რომელიც ასეა განაწილებული: ტფილისის მაზრა—6,060 მ., ბორჩალოსი—13,125 მან., გორისა—20,659 მ., ახალციხისა—6,390 მ., ახალქალაქისა—4,039 მ., თელავისა—7,283 მ., თიონეთისა—1,292 მ., სიღნაღისა—6,947 მ. და დუშეთისა 4,537 მ., და ზაქათალის ოლქში—5,193 მ.

*** გზათა სამინისტროს განსაკუთრებული, ეგრედ წოდებული საპენსიო თანხა აქვს—15 მილიონი მანეთი. სამინისტროს გადაუწყვეტია ეხლა ამ თანხით რკინის გზებზედ ააგოს სადგომები და ნაკლებ ფასად ქირით მისცეს გზაზედ მოსამსახურეთა და მუშებს.

*** იმავე სამინისტრომ გადასწყვიტა გამართოს რკინის გზებზედ მოძრავი სადეზინფექციო სადგურები.

*** ფინანსთა სამინისტროს აზრადა აქვს სახელმწიფო საბჭოს 315,000 მანეთი მოსუხოვოს. ამ ფულიდგან სამინისტრო სუბსიდიებს დაუნიშნავს ყიზლიარის ოლქის მევენახეებს.

*** მომავალის წლის გაზაფხულიდგან მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს აზრადა აქვს გამოსცადოს ქიმიის მაგისტრის ი. ი. გადზევიჩის მიერ გამოგონილი ახალი საშვალება ფილოქსერის წინააღმდეგ.

*** ქალაქის გამგეობას განუხილავს მასწავლებელ ქალთა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოების თავმჯდომარის კნ. მ. ვ. ჯამბაკურიან-ორბელიანის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ გამგეობამ ფულით შემწეობა აღმოუჩინოს მოხუცებულ და ავადმყოფ მასწავლებელ ქალთათვის თავ-შესაფარის ასაშენებლად. ქალაქის გამგეობას ეს შუამდგომლობა შეუწყნარებია და 1000 მანეთი გადაუდვია ამ შენობის ასაგებად.

*** სოფლის მცხოვრებთა საჭიროებების გამოსარკვევად, ამ ჟამად მთავრობა ცნობებსა ჰკრებს იმ ადგილების შესახებ, სადაც კალიისა, სეტყვისა, წყალდიდობისა და სხვა უბედურებისაგან დაზარალდა ჭირნახულის ყანები და საქონლის საკვებ ბალახების მინდვრები.

*** 4 დეკემბერს ქუთაისის ქალაქის საბჭოს სხდომა ჰქონია. საბჭოს გადაუწყვეტია დააარსოს ქუთაისში საშუალო სამეურნეო სასწავლებელი სადურგლო-საზეინკალო განყოფილებითურთ; დაუთმოს სამოქალაქო სასწავლებელს შენობის ასაგებად 2,000 ოთხ-კუთხი საჟენი მიწა; გამგეობის

# ფელეტონი

## უცხოთა შორის

როგორ ავრცელებენ ველურთა შორის ევროპიელნი ცივილიზაციას.—ჩინელი მუშა და ევროპიელი.—ირლანდიელთა გაჭირვება.

იმ დროს, როდესაც ფრანგები ალტაცებით ეგებებოდნენ ტრანსვაალის დევნილ პრეზიდენტს კრიუგერს, ქება-დიდებით იხსენიებდნენ ჩაგრულ ხალხის მამაცობას და ჰკიცხავდნენ ინგლისის ძალ-მომრეობას, საფრანგეთის პარლამენტში საფრანგეთისავე მამულიშვილი, მკურნალი პოლ ვინიე, საკუთარ მთავრობასა და მოხელეებს უსაყვედურებდა ძალმომრეობას და ბარბაროსობის ბრალსა სდებდა. საოცარი ამბები აუწყა პოლ ვინიემ პარლამენტის გაკვირვებულ დეპუტატებს. ამ ამბებიდგანა სჩანს, რომ ევროპის დიდნი და ძლიერნი სახელმწიფონი ერთნაირად ავრცელებენ „ცივილიზაციას“ იქ, სადაც ძალა ადვილადა ჰხნავს ალმართს.

პოლ ვინიემ მთელი ათი წელიწადი დაჰყო სამხედრო მკურნალად საფრანგეთის ახალშენებში და ამ ხნის განმავლობაში კარგად შეისწავლა ახალშენთა საქმეები და საახალშენო ადმინისტრაცია. შემდეგაც არ შეუწყვეტნია ვინიეს კავშირი ახალშენებთან, ხშირი მიწერ-მოწერა ჰქონდა იქ მყოფ მოხელეებსა და მეგობრებთან და მრავალი ცნობა მოსდიოდა საახალშენო ჯარისა და ადმინისტრაციის ყოფა-ქცევის შესახებ. ვინიემ ნანახი და გაგონილი ამას წინად ცალკე წიგნად გამოსცა. აი სწორედ ამ წიგნშია აღნუსხული საახალშენო ადმინისტრაციის ის საარაკო და საგმირო საქმენი, რომელსაც გაკვირვებაში მოჰყავს ცივილიზაციისა და კულტურის ნამდვილი მეგობარნი.

უპირველეს ყოვლისა ვინიეს წიგნიდგან იგებს ყველა, რომ სუდანის (აფრიკაშია) იმ ნაწილში, რომელიც საფრანგეთის საკუთრებას შეადგენს, საოცრად ყოფილა გავრცელებული მონობა. საჯაროდ, მოხელეების თვალ-წინ, ჰყიდულობენ და ჰყიდიან თურმე ცოცხალ ადამიანებს—კაცებს, დედაკაცებს და ბავშვებს, ამასთან ასეთი ვაჭრობა სათაკილოდ არავის მიაჩნია. ზოგ მონებს ფულზედ ჰყიდიან, ზოგს კიდევ საქონელში სცვლიან. ბევრგან ერთ ცხენში 4-5 მონას აძლევენ. მონები ჰყავთ თურმე არა მარტო ადგილობრივ ვაჭრებსა და მცხოვრებთ, თვით საფრანგეთის მოხელეებს, აფიცრებსა და ჯარის-კაცებსაც-კი. რომელისამე ქალაქის ან სოფლის აღების დროს ტყვეებს აფიცრები და ჯარის-კაცნი ერთმანეთში იყოფენ. აი რა უცნობებია ვინიესთვის ერთ მეომარს: „ქალაქს ჯერ ალყა შემოვარტყით, შემდეგ იერიში მივიტანეთ. როდესაც ავიღეთ, უფროსებმა ნება მოგვცეს ძარცვა-გლეჯას შევდგომოდით. ტყვეებს, რიცხვით 4000 კაცს, ერთ ადგილას მოვუყარეთ თავი. პოლკოვნიკმა გადაავლო თვალი, ჩაიწერა უპის წიგნში ისინი, ვინც თვითონ უნდოდა და შემდეგ გამოგვიცხადა, ეხლა თქვენ გაიყავითო. ღრიალით, ყვირილითა და ჩხუბით შეუდგნენ ტყვეების გაყოფას. ევროპიელთა უმრავლესობას თითო დედაკაცი ერგო; ისეთი ჯარის-კაცნიც აღმოჩნდნენ, რომელთაც სამ-სამი ქალი შეჰხვდათ, ხოლო ერთმა, გვარად მენდომამ, ცხრა დედაკაციც-კი დაისაკუთრა. ბავშვებსა და მოხუცებს იქვე სიცოცხლე მოუსპეთ“.

მოხელენი, აფიცრები და ჯარის-კაცნი მეტად სასტიკად ექცევიან თურმე მშვიდობიან მცხოვრებთ. სრულიად უმიზეზოდ სცემენ, აპატიმრებენ, ათასგვარ სასჯელს უნიშნავენ და ბევრს სიცოცხლესაც უსპობენ. ვინიე მრავალს მაგალითს გადმოგვცემს ამისას. საყურადღებო ის არის, რომ ასეთ მოხელეებს მთავრობა სასჯელის ნაცვლად აჯილდოვებს და უკეთეს ადგილს აძლევს.

ასევე იქცევიან მოხელენი და სამხედრონი საფრანგეთის მეორე ახალშენში მადაგასკარზედ. 1898 წლის გასულს ერთ ადგილობრივ ტომის უფროსს აი რა უამბნია მადაგასკარის გენერალ-გუბერნატორის მთავარ მდივნისათვის: „კაპიტანმა ლ.—მ დაიბარა რაღაც საქმის გამო ნოსსა-ფალლის უფროსი, ადგილობრივი მკვიდრი გვარად ასსანი. კაპიტანი რაღაც ბრალსა სდებდა ასსანს. როდესაც ვერ გამოტეხა უდანაშაულო კაცი, კაპიტანმა უბრძანა, ჩალა მოეტანათ, ნავთი დაესხათ, შიგ ჩაეწვინათ ასსანი და ცეცხლი წაეკიდნათ. საცოდავი, ტკივილისაგან გამწარებული ასსანი ამას ღა გაიძახოდა მხოლოდ: „მომკალით, ჩქარა მომკალითო!“ მაგრამ მოკვლითაც მხოლოდ საღამოთი მოჰკლეს. ასე გვაწვალებენ ყველას, დაუმატა დასასრულ მომჩივარმა. სთხოვეთ ჩვენ მაგიერ გენერალ-გუბერნატორს დაგვიხსნას ამ ტანჯვისაგან, მოგვაშოროს თავიდგან მტარვალნი, თვით ჩვენ დავიცავთ წესიერებას“. მდივანს ყოველივე მოუხსენებია გუბერნატორისათვის, მაგრამ გუბერნატორს არ დაუჯერებია. რამდენისამე ხნის შემდეგ კაპიტანს უფრო დიდი თანამდებობა მიუღია.

1897 წელს ტამატავის ბრალმდებელს პუარეს მოხსენება მოსვლია ლეიტენანტ ს.—საგან, ერთის ოლქის უფროსისაგან. მოხსენება ორ კაცს შეეხებოდა, რომელთაც ერთის სახლისათვის ცეცხლის წაკიდება ჰბრალდებოდათ. პუარეს ეს კაცები თავისს კაბინეტში დაუბარებია. რადგანაც სიარული არ შესძლებიათ, ბრალდებულნი ხელით შეუყვანიათ და იატაკზედ დაუსვამთ. პუარე ამ დროს რაღაც საქმეში ყოფილა გართული და ყურადღება არ მიუქცევია, მაგრამ როდესაც ოქმის კითხვას შესდგომია, გამოუცხადებია, ადექითო. მაშინ ბრალდებულთ უთქვამთ: „ადგომა არ შეგვიძლიან, ფეხები არა გვაქვს. რათა გამოვტეხილიყავით, ლეიტენანტმა ს.—მ ფეხები დაგვიწვა. გვეშინოდა სიცოცხლეც არ მოესპო და გამოვტყდით. მაგრამ თქვენ, ბ-ნო ბრალმდებელო, მართალს მოგახსენებთ: უდანაშაულო ხალხი ვართ და ბრალი არ მიგვიძღვის“. ბრალმდებელს ეს ამბავი გენერალ-გუბერნატორისთვის მოუხსენებია, მაგრამ გუბერნატორს თვით პუარე მეორე ადგილზედ გადაუყვანია, ხოლო ლეიტენანტ ს.—სთვის კაპიტნობა უბოძებია.

აი კიდევ მაგალითი. იმერინში სადარაჯო ჯარის უფროსს თოფი დაჰკარგვია. ეჭვი უფროსს თავისს

წევრად ნამყოფს ა. მ. გაბაშვილს 1,200 მან. შემწეობა მიეცეს, სახალხო წარმოდგენების გასამართავად ქალაქის თეატრი 20 მან. ქირით დაეთმოს ამ წარმოდგენების მმართავ კომისიას.

*** ხუთშაბათს, 7 დეკემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებამ ბ-ნ შარიგინის თავმჯდომარეობით განიხილა საქმე ტფილისის საპატიო მოქალაქის მეუღლის სოფიო ზაქარიას ასულის ბაბანასოვისა, ქუთაისის გუბერნიის მცხოვრების აზნაურის მარიამ იოსების ასულის გოცირიძის და ქ. ბაქოს მც. ნადვორნი სოვეტნიკის მეუღლის აშხენ ზაქარიას ასულის ფირადოვისა, რომელთაც ჰბრალდებოდათ თამამშევის ქარვასლის ვაჭრების ნიკოლოზ იედიგაროვისა, გეორქ სუკინოვისა, წყალობა ცატუროვისა და სერგო ჯანოვის მაღაზიებიდგან სულ 7–8 მან. საღირალ ჩითის ნაჭრებისა და 60 კაპ. ღირებულ არშიის მოპარვა. საქმის გარჩევის დროს ეკითხა 7 მოწმეს. საქმის სასამართლოს გამოძიება დასრულდა საღამოს 6 საათზედ. ოლქის სასამართლომ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც უდანაშაულოდ იქმნენ ცნობილნი და გამართლებულ ქურდობაში ქ-ნნი ბაბანასოვი, გოცირიძე და ფირადოვი.

*** ხუთშაბათს, 7 დეკემბერს, ქალაქის გამგეობის წევრის თავ. არღუთინსკი-დოლგორუკის თავმჯდომარეობით შესდგა სხდომა ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიისა, რომლის დროსაც განხილულ იქმნა რამდენიმე საქმე. კომისიამ შეიწყნარა თხოვნა მ. ს. სუნდუკიანცისა და გარდასწყვიტა ყოველ წლობით 300 მან. აძლიოს ქალაქის მეორე დედათა საკვირაო სკოლის შესანახად. კომისიამვე განიხილა მცირე კომისიის მოხსენება ქალაქის სახალხო უფასო სამკითხველო წიგნთ-საცავის ქალაქის სახლში კალიუჩი ბალკის ბოლოზედ ფოსტის გვერდით მოთავსების შესახებ და ამ საქმისათვის საჭირო თანხის გადადებისა, რომლითაც უნდა გადაკეთდეს სადგომი სამკითხველო წიგნთ-საცავისა. კომისიამ დაადგინა დაავალოს თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვს ხელ-მეორედ დაათვალიეროს ეს შენობა მცირე კომისიასთან ერთად და წარუდგინოს კომისიას ამის შესახებ ვრცელი მოხსენება. დასასრულ კომისიამ განიხილა მცირე კომისიის მოხსენება ავლაბარში სამრეწველო საშუალო სასწავლებლის დაარსების შესახებ. როგორც კომისია თავისს მოხსენებაში აცხადებს, ამ სკოლის შესანახად ყოველ წლობით საჭირო იქმნება 40,375 მან. და ერთჯამიერ შენობის ასაგებად 265,500 მან. სასწავლებელი 8 კლასიანი იქმნება. ქალაქი თავისის მხრით დაუთმობს ადგილს ავლაბარში შენობისათვის და წელიწადში 15,000 მან. გადასდებს მის შესანახად. კომისიამ დაადგინა აღსძრას ხელ მეორედ შუამდგომლობა მთავრობის წინაშე ავლაბარში პროგიმნაზიის დაარსების შესახებ და, თუ ვინიცობაა ეს შუამდგომელობა შეწყნარებულ არ იქმნა, მაშინ დართონ ნება ავლაბარში, პროგიმნაზიის ნაცვლად სამრეწველო სასწავლებლის დაარსებისა.

*** ხუთშაბათს, 7 ნოემბერს, ქართულმა დრამატიულმა დასმა, ეფ. მესხის საბენეფისოდ, წარმოადგინა დრამა „შენდობა“ და ვოდევილი „ადვოკატთან“. დაწვრილებით ანგარიშს ამ წარმოდგენის შესახებ ხვალ დავბეჭდავთ.

*** „ცნობის ფურცელი“ სწერს: ჩვენ შევიტყეთ, რომ ზედამხედველი საქართველოს ეპარქიის სამრევლო სკოლებისა ნიკოლოზ გაბრიელის ძე ტატიშვილი უწმიდესმა სინოდმა ამ თანამდებობიდგან გადაიყვანა სარატოვის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად.

*** პეტერბურგიდგან იტყობინებიან, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო თანაგრძნობით შეხვდა „კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადოების“ შუამდგომლობას ხსენებულ საზოგადოების წესდების ზოგიერთ მუხლების შეცვლის შესახებ. („ცნ. ფ.“).

*** ქ. ბაქოს თერთმეტი თვის განმავლობაში 1 295,390 მან. შემოსავალი ჰქონია, ხოლო ამ დროს განმავლობაში დაუხარჯა 1,401,036 მ. 10 კ.

*** 4 დეკემბერს, დილის შვიდს საათზედ, ალიათის სადგურზედ საქონლის მატარებლები დასჯახებიან ერთმანეთს. 40 ვაგონი დამტვრეულა და სამი კაცი დაშავებულა. („ახ. მიმ.“)

*** მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ განზრახვა აქვთ ტფილისში საშუალო სამხატვრო სასწავლებელი დააარსონ. როგორც „ტფ. ფურ.“ იუწყება, ამ სასწავლებელს შემდეგ უმაღლეს სასწავლებლად გადააკეთებენ. თუ ქალაქი უფასოდ მიწას დაუთმობს, სასწავლებელს შეუძლიან საკუთარი შენობა ააგოს, რასაც 200,000 მანეთამდის დასჭირდება.

*** 7 დეკემბერს კავკასიის წყალთა გამგეობის დარბაზში ამიერ კავკასიის ინჟენერ-გიდრავლიკუა კრება დაიწყო.

*** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ წინარეხის სკოლის მასწავლებლად დანიშნა ვლადიმერ ცეცხლაძე, რომელმაც ამ წლის გასულს სასულიერო სემინარია დაამთავრა.

*** ძირულა. ძირულაში, ბერაძეების გვარში, აღმოჩნდა ერთი ძველი ქართული ხელთნაწერი წიგნი, მშვენიერის თექვსმეტ მარცვლოვანის ლექსით დაწერილი. ამ ხელთ-ნაწერს „ალექსანდრიანი“ ეწოდება. მაკედონელის ცხოვრებაა აღწერილი. დამწერის ლექსის წესი ძლიერ წააგავს პეტრე ლარაძის ლექსებს. თვით ხელთ ნაწერსაც აწერია, რომ გალექსილია პეტრესაგანაო. გადაწერა XVIII საუკ. ბოლოს მიეწერება.

*** მივიღეთ საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის“ მე XI ნომერი. შინაარსი ამ ნომრისა: 1, ფოთლები, ლექსი შ. მღვიმელისა, 2, პატარა მილიონერი (პოლონურიდგან) ა. ყუმისთაველისა, 3, ტყის მგელი და მინდვრის მგელი, თარგმანი ეკ. მ—სა, 4, მდიდარი და წუნწი, ლექსი ი. ბელიაშვილისა, 5, მოსწავლეთა შუამდგომლობა, (თარგმანი) ს. ციციშვილისა, 6, ჩვენი ფრთოსანი მეგობრები, ან წ სა, 7. რუსის გლეხი, გ. წყალტუბელისა, 8, გრიგოლი (მოთრობა) გ. ბოკერიასი 9, კოლბერი (დასასრული) ან. წ—სა, 10, არდაში (ძველი თქმულება თარგმანი) ეკ. მ—სა, 11, გმირი ჭიანჭველები (თარგმანი) ან. წ—სა 12. პატარა მკითხველების წერილები, 13, წვრიმალი, აკროსტიხი, ანდაზები, გამოცანები, ანაგრამა, ხალხურ-აფხაზური გამოცანა, შარადა, რებუსი და სხვა.

*** ტფილისის პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელს უთხოვნია ეტლისა და ცხენების სასყიდად ქალაქის გამგეობისათვის 1,500 მან. სესხად ხუთის წლის ვადით, ისე რომ წელიწადში სამასსამას მანეთი გამოურიცხონ იმ 1200 მანეთიდგან, რომელსაც გამგეობა გზის ხარჯად აძლევს პოლიცმეისტერს. გამგეობას პოლიცმეისტრის შუამდგომლობა შეუწყნარებია.

*** ამ დღეებში ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტმა განიხილა საქმე ქალაქ ბათუმის მესამე განყოფილების ბოქაულის პეტრე მეფისაშვილისა, რომელსაც სამსახურის დროს ბოროტ-მოქმედების ჩადენა ჰბრალდებოდა. როგორც გამოძიებას გამოურკვევია, პეტრე მეფისაშვილს ის ბრალი ედებოდა, რომ მან თურმე 1897 წ. პოლიციის ბოქაულის თანაშემწედ ყოფნის დროს საროსკიპო სახლების მეპატრონეთაგან ვითომც ქრთამებს იღებდა. საქმის გარჩევის დროს ორმა მოწამემ განაცხადა, რომ ჩვენ მეფისაშვილისათვის არავითარი ქრთამი არ მიგვიცია—და თუ საჩივარი აღვძარით, გულმოსული ვიყავით და იმიტომაო. სამოსამართლო პალატამ დამნაშავედ იცნო პეტრე მეფისაშვილი და გარდაუწყვიტა 200 მანეთით დაჯარიმება და საქმის საწარმოებელ ფულის გარდახდევინება.

*** ხუთშაბათს, 7 დეკემბერს, პოლიციის 1 ნაწილში, კირკის ქუჩაზედ მედროგეს მამედ-სულეიმან ოღლის დაუფრთხა ცხენი, ველარ შეიმაგრა, გადმოვარდა, ცხენმა წინა ფეხი დაჰკრა და მამედა იქვე გარდაიცვალა. გარდაცვალებულის გვამი მიხეილის საანატომიო განყოფილებაში გაგზავნეს.

*** ხუთშაბათს, 7 დეკემბერს, პოლიციის მე-10 ნაწილში, ბუ ვარის ქუჩაზედ, სპ რსეთის ქვეშევრდომის ჰუსეინ-ალი ოღლის ყავახანაში შესულა 70 წლის მოხუცი ვილაც მიხეილ მაკარის ძე, რომლის გვარი ჯერ ვერ გამოურკვევიათ, და უცბად იქვე გარდაცვლილა. გარდაცვალებულის გვამი მიხეილის სამკურნალოს საანატომიო განყოფილებაში იქმნა გაგზავნილი.

## უცხოეთი

—

ჩინეთი. მოკავშირე სახელმწიფოთა ელჩების დაპირებამ—აი დღეს, აი ხვალ უთუოდ მოლაპარაკება დაიწყება და უცბად დასრულდება მშვიდობიან მორიგებითაო, ბევრჯელ მართლაც დაგვიჯერა, რომ ჩინეთის საქმე როგორმე გამოირკვეოდა, მაგრამ არა და არ იქნა, ჩინეთის მთავრობის წინაშე წარმოსადგენი ნოტა ვერაფრით შეიმუშავეს. ამ წინაზედ სარწმუნოდ იუწყებოდნენ დეპეშით, რომ სულ ოთხ-ხუთის დღის შემდეგ მოლაპარაკება დაიწყება, რადგანაც ნოტის შესახებ სახელმწიფონი შეთანხმდნენ და ახლა მხოლოდ ცინისა და ლიხუნჩანის რწმუნების ქაღალდები უნდა გადასინჯონ, მეტი არ დარჩენიათ-რაო, მაგრამ ესეც ტყუილი გამოდგა და გამოირკვა, რომ რადაც ტელეგრაფისა თუ სხვა რამ მიზეზით ნოტაში დასაწყისი სიტყვები ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს სულ სხვა რიგად გაუგიათ და თანხმობა შეცდომით განუცხადებიათ... მაშასადამე, ამით კიდევ ახალი მიზეზი მიეცა პოლიტიკურ მოქნილობას, რომ საქმე გაჭიანურდეს და ევროპის სახელმწიფოთა მხრივ უმართებულო ქცევამ ჩინელთა დასატუქსავად და მათდა სამახსოვროდ ჯერ კიდევ ბევრით თავი იჩინოს.

---

მოსამსახურეზედ მიუტანია, ადგილობრივ მკვიდრზედ, და უბრძანებია, ოცდა ოთხის საათის განმავლობაში თოფი აქ გააჩინეო. საწყალ მოსამსახურეს დღე-ღამე ურბენია, მაგრამ რას მიუტანდა, რაც არ წაუღია. მაშინ უფროსის ბრძანებით ამ მოსამსახურესთვის თავი და ხელები მოუჭრიათ და სახლის კედელზედ ჩამოუკიდნიათ.

* * *

ასეთ ამბებს მრავლად გადმოგვცემენ გაზეთები და საფრანგეთის ახალშენებში მყოფნი. ცივილიზაციის გავრცელებაც ამ რიგად უნდა!.. რაღა აფრიკის მიყრუებული ადგილები, როდესაც დღეს ყველას თვალ წინ ევროპიელნი ჩინეთში უარესს საქმეებს სჩადიან: განუსამართლებლად, გამოუძიებლად და განუკითხავად თავიანთ მიწა ადგილში წუთი-სოფელს ასალმებენ ყველას, დამნაშავესა და ცამდი მართალს, უბრალო მუშასა და წარჩინებულ მანდარინს. უკვირდათ და უკვირთ ევროპიელებს, ჩინელნი ასე ბარბაროსულად როგორ იქცევიან და როგორა ელეტენ უდანაშაულო მისიონერებსაო, ხოლო თვით ევროპიელთა ბარბაროსობა კი ავიწყდებათ. გაზეთები მხოლოდ ამ ბოლოს დროს გადმოგვცემენ რა საზიზღრობას სჩადიოდნენ და სჩადიან ჩინეთში მყოფი ევროპიელნი. ამ „კულტუროსანთა“ დასახასიათებლად უბრალო მაგალითიც საკმაოა.

ჩინეთის ქალაქებში ევროპიულ ეტლს იშვიათად შეხვდებით. ეტლის მაგიერობას იქ ორ თვალიანი პატარა ურემი სწევს, რომელსაც კული ანუ მუშა ხელით მიათრევს. ამ გვარი ეტლი მრავალია იმ ქალაქებში, სადაც ევროპიელნი სცხოვრობენ. მსურველს შეუძლიან ჩაჯდეს შიგ და საითაც უნდა, იქით გაუდგეს გზას. სასყიდელი მეტად მცირეა, ერთ საათში მუშას მხოლოდ 15–30 კაპეიკს აძლევენ. მაგრამ ძალიან ხშირად ევროპიელნი ცარიელსაც ისტუმრებენ და ეუბნებიან, ხვალ ამა და ამ ადგილას მოდი და იქ მიიღებ ფულსაო. მეორე დღეს მუშა რამდენიმე საათი უცდის ორიოდე გროშის მიღებას. კარგია თუ მიიღო: ბევრჯელ სასყიდლის მაგიერ მუშტის კვრითა და ცემითაც ისტუმრებენ. ჩინელს არ შეუძლიან უჩივლოს ევროპიელს, თუ უჩივლა და მოსამართლემ სასჯელი გადაუწყვიტა ევროპიელს, ეს ამბავი მთელს დიპლომატიურ მიწერ-მოწერასა და ალიაქოთს გამოიწვევს ჩინეთსა და იმ სახელმწიფოს შორის, რომლის ქვეშევრდომიც ევროპიელია.

ბევრ წვალებასა და ტანჯვას ითმენენ ჩინელი მუშები განსაკუთრებით ყავახანებში დამთვრალ ევროპიელ ზღვაოსანთაგან, რომელნიც ქეიფისა და ლოთობის შემდეგ სალამოთი თავიანთ გემებზედ ბრუნდებიან. ზღვაოსანნი მუშათა ნამდვილ დოღს ჰმართავენ ამ დროს: ძალად დაარბენინებენ ურმებში შებმულ მუშებს, უნდათ გაიგონ, ვინ ვის გაუსწრობს და ასე გაერთონ. ვაი იმ მოხუც ან ზანტ მუშას, რომელიც უკან ჩამორჩება; რაც უნდა ზანტი და მოხუცი იყოს, ასეთ მუშას მუშტებისა და ჯოხების წყალობით სირბილს მაინც დააწყებინებენ. არა ნაკლებს ტანჯვაში არიან ის მუშები, რომელნიც ასეთისავე პატარა ხელის ურმებით შორს მანძილზედ საქონელს ეზიდებიან. ამ მუშის სასყიდელი დღეში 15 კაპეიკია. მთელი დღე უნდა ათრიოს თავამდე დატვირთული ურემი მეტად საძაგელს გზებზედ და ბოლოს 15 კაპეიკი-კი მიიღოს. თუ გზაში ევროპიელი შეეხეჩა და როგორმე განზედ გადახვევა ვერ მოახერხა, მუშა ტიტველ ბეჭებზედ მათრახის გემოსაც გამოსცდის. ასე ექცევიან ჩინელებს თავიანთ სახელმწიფოში საკუთარ მიწა-ადგილზედ ევროპიელნი, და ყველა ამის შემდეგ რაღად უნდა გაგვიკვირდეს ჩინელის „მოკრივედ“ გადაქცევა და ევროპიელთა წინააღმდეგ გალაშქრება.

* * *

სანუგეშოს ვერც თვით ევროპაში ვხედავთ ბევრს რასმეს. მკითხველებმა, აშკარაა, უწყიან, რომ გლადსტონის მეცადინეობამა და თავ-გამოდებამაც ვერაფერი უშველა ირლანდიელებს და დღეს ირლანდიაში მეურნეთა და სოფლის მცხოვრებთ ისეთსავე გაჭირვებაში ვხედავთ, როგორშიც ამ საუკუნის დასაწყისში იყვნენ. დიდი და ხანგრძლივი ბრძოლა მოუხდა ირლანდიას. წინად იგი სარწმუნოებრივ უფლებებისთვის იბრძოდა, დღეს-კი ეკანომიურ უფლებათა მოპოებას სცდილობს. მთელი ორი საუკუნე ინგლისი თავზედ ახვევდა ირლანდიას პროტესტანთა სარწმუნოებას და სცდილობდა კათოლიკობის განდევნას, მხოლოდ ამ საუკუნეში მიანიჭა ინგლისის პარლამენტმა ირლანდიას სარწმუნოებრივი თავისუფლება.

დღეს ბრძოლა, როგორც ვთქვით, ეკონომიურ ნიადაგზეა; სააგრარო კითხვა შეადგენს უმთავრესს ძარღვს ინგლის-ირლანდიის დამოკიდებულების გამწვავებისას. მტაცებლობამ და კონფისკაციამ რამდენისამე საუკუნის განმავლობაში ძირი გამოუთხარა მიწად-მფლობელობას, მამული მთლად ხელიდგან გამოაცალა ირლანდიელ მესაკუთრეთ და მდიდარ ლენდლორდებს ჩაუგდო. „ამ სააგრარო ბრძოლას მხოლოდ მაშინ მოეღება ბოლო, როდესაც მიწას მდიდარ მემამულეთაგან გამოისყიდიან და სოფლელ ირლანდიელთავე დაურიგებენ“, სწერს ერთი გაზეთი.

სწორედ ამასა სცდილობდა გლადსტონი და ამასვე სცდილობს და მეცადინეობს ეხლა ირლანდიელთა უმრავლესობა. აგიტაციას ამ მხრივ ირლანდიელნი დიდის მხნეობით შეუდგნენ. ხოლო ირლანდიელ მეურნეთა და ფერმერთა გაჭირვება რომ დიდია, ამის დამამტკიცებელ ფაქტებს მრავალნი გადმოგვცემენ. აი რას სწერდა ამას წინად გარდაცვალებული ირლანდიის უმაღლესი მოსამართლე.

ირლანდიის სამხრეთ დასავლეთ ნაწილში მემამულეებმა 300 ფერმერი განდევნეს თავიანთ ფერმებიდგან საიჯარო ფასის შეუტანლობისათვის. ამ 300 ფერმიდ ან 100 ფერმა დღეს უპატრონოდაა მიტოვებული, მიწა დაუმუშავებელია შენობანი ნახევრად დაქცეული, მემამულეს გროშიც არა აქვს შემოსავალი. იმ ფერმებსაც, რომელნიც იჯარით იქმნა გაცემული, დღე ღამე პოლიცია იცავს ძარცვა-გლეჯისა და მტაცებლობისაგან.

ი. ა—ძე

მაგრამ არც ჩინელები აკლებენ რასმე ამ საერთო წეწვა-ტყუვების საქმესა და იმ დროს, როცა ცისა და დედამიწის მოწმობით არწმუნებენ ევროპიელებს, რომ მშვიდობას მოწადინებულნი ვართ, ჩუმად ზურგს იმაგრებენ და სცდილობენ ამ დაუპატიჟებელს გულმაგა ტკივრებს მაგიერი როგორმე გარდაუხადონ. ტუნფუსიანი სინანფუდგან იმპერატორის ბრძანებით განიდევნა, იმპერატრიცას თვალცრემლიანი გამოემშვიდობა და განშორდა, მაგრამ მხოლოდ განშორდა... და ერგულად ჯარებს ჰკრებს, რომ გაშორვების დროს სასახლეს მიაშველოს. არც სხვა წარჩინებული სახელმწიფო კაცნი არიან დამშვიდებულნი. „Kölnische Zeitung“-ის ცნობებით, ჩან-დი-ტუნს 6,000 კაცი თურმე ჰყავს შეიარაღებული, რომელთაგანაც ვულჩანის ჯარი მშვენივრად თურმე ახალის სამხედრო წესით გაწრთვნილი და ახალის განკარგებულის იარაღით გამზადებული. ქვეითა ჯარს ჩინეთისავე ქარხნებში გაკეთებული მაუზერის თოფები აქვს, არტილერიას—53 მილიმეტრიანი კრუპპის ზარბაზნები. ლიუკუნის 20,000 კაცი თურმე ჰყავს შეიარაღებული, რომელთაგანაც 8,000 საუცხოვოდ გაწრთვნილია. მისის ჯარის-კაცების უმეტესობას ხუნანელები შეადგენენ, რომლებიც თავისს სამხედრო თვისებებით ცნობილნი არიან. 10,000 კაცი მდინარის პირადა სდგას სხვა-და-სხვა სიმაგრეში; კიან-სიში 3,000 კაცია გენერალის ლის უფროსობით, რომელსაც ორი სამინდვრო ბატარეია ჰყავს ექვს-ექვსის ზარბაზნითა და ორი ესკადრონი კავალერია. ეს ჯარები მთლად გერმანელ ინსტრუქტორების გაწრთვნილიაო.

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** ბურები ისევ ისრე ადვილადა და ხშირად იმარჯვებენ, როგორც ამ ათი-თორმეტის თვის წინად, ომის დაწყებისას. როგორც მოგეხსენებათ, ამ წინაზედ ბურების გენერალმა დელარეიმ ინგლისელთა გენერალი კლემენტსი მთლად დაამარცხა ტრანსვაალში. ბოლონდელი დეპეშები ლონდონიდგან ამ ბრძოლის ამბავს დაწვრილებით იუწყებიან. როგორცა სჩანს, ბურებს ინგლისელთა სიმაგრე იერიშით აუღიათ, თოფის კონდახითა და ხმლებით შუბების წინააღმდეგ. გენერალს ბროდვუდს კლემენტსისათვის ვეღარ უშველია იმ მიზეზით, რომ ერთსა და იმავე დროს ბურები ბროდვუდსაც თავს დასჰსხმიან და დაუმარცხებიათ. როგორც ამ გარემოებიდგანა სჩანს, ბურებს ეტყობა საომარი გეგმა წინადვე შედგენილი ჰქონიათ და ერთის უფროსობით უმოქმედნიათ.

„Westminster Gazette“ ინგლისელთა სასაცილო მდგომარეობას სამხრეთ აფრიკაში შემდეგის კარრიკატურით ასურათებს: კიტჩენერი დედამიწაზეც გართხობილია და სცდილობს დევეტი დაიჭიროს; დევეტი კი ამ დროს ზურგთ უკან მშვიდობით მიდის თავისს გზაზედ.

— ახლანდელი ბურების ჯარის-კაცნი ომის დაწყებისას შემდგარს გლეხთა რაზმებს არაფრით ჰგვანანო,—იწერებიან ლონდონიდგან; ყველანი ომში გამოსულები და თავგადადებულნი არიანო; ინგლისელებს ძლიერ უკვირთ, თუ ბურები სამხედრო იარაღსა და ტყვია-წამალს საიდგან შოულობენ და ის-კი ავიწყდებათ, რომ ხშირად მათივე იარაღი და ტყვია-წამალი ბურებსა რჩებათ.

— რადგანაც საკავშირო საბჭოში ოპოზიციამ თავი იჩინა და მანცონიმ უარი სთქვა, რომ ინგლის-ტრანსვაალის საქმეში მედიატორეთა სამართლის შესახებ პროექტი წარედგინა, ამის გამო აღნიშნულის პროექტის შესახებ წინადადებას მშვიდობიანობის მომხრე საპარლამენტო დასი წარადგენს, რომელიც შემდეგ ევროპის ყველა საპარლამენტო დასებს გაუგზავნის ამავე წინადადებას.

— აფრიკანდერთა კონგრესის დელეგაციამ ვორჩესტერში მიღებული გარდაწყვეტილებანი კაპის გუბერნატორს ალფრედ მილნერს წარუდგინა. დელეგაციის პრეზიდენტმა პრეტარიუსმა განუცხადა მილნერს, რომ ომი მეტად სასტიკი და უმართებულო იყო, რომ დედაკაცებისა და ბავშვების თავის საცხოვრებელ ადგილებიდგან გადასახლება სამართლიანობის გრძნობის შემაგინებელია. დასასრულ ბრეტარიუსმა მედიატორეთა სამართალი მოითხოვა.

— ალფრედ მილნერმა უპასუხა ამაზედ, რომ იგი კონგრესის გარდაწყვეტილებას ინგლისის მთავრობას გაუგზავნის, მაგრამ დასძინა, რომ ეს მისს მოვალეობას არ შეადგენს, თუმცა ისეა ყველა აღელვებული და გამწვავებული, რომ დათმობა სჯობს სასტიკობასაო.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

იტალიაში ამას წინად ქალს პირველად მისცეს უნივერსიტეტში პრივად-დოცენტობა. ეს პრივად-დოცენტი რომის უნივერსიტეტის პროფესორის ქალია, ტერეზა ლაბრიოლა. ახალგაზდა დოცენტი სულ 25 წლის ქალია. 7 წლის წინად ტერეზა ლაბრიოლამ თავისს ძმასთან ერთად მიიღო იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორობა, ხოლო რამდენისამე ხნის შემდეგ ვექილობის ნება მიეცა. ლაბრიოლამ რამდენიმე მეცნიერული შრომა დაჰბეჭდა ჟურნალებში და ამით ყველას ყურადღება მიიქცია.

* * *

ამ ერთის წლის წინად პენსილვანიის (ამერიკაშია) უნივერსიტეტის პროფესორი ხილპრეხტი არქეოლოგიურის აზრით მიწის თხრას შეუდგა მესოპოტამიაში, ნიპპურის მახლობლად, იმ ქალაქის მახლობლად, რომელიც ბევრად უძველესია ურ ხალდეიზე, სადაც აბრაამი დაიბადა. ხილპრეხტმა უკვე აღმოაჩინა ნანგრევები კალნეხისა, რომელიც ოდესღაც ბაბილონსა, ერეხსა და ხეკადამთან ერთად ნემვროდის სამეფოს მთავარ ქალაქს შეადგენდა. მრავალ ნაპოვნ ნივთებს შორის აღმოჩნდა 17,000 ნივთი ლურსმულის წარწერით. ეს წარწერანი მთელ თხზულებებს შეიცავენ თურმე ისტორიისა, მითოლოგიისა, გრამატიკისა, მათემატიკისა და სხვა საგნებისას. უძველესი წარწერა 7000 წლისაა, ხოლო უგვიანესი 4200 წლისა (2280 წლ. ქრისტეს დაბადებამდე). ეს წარწერანი ერთ ოთახში უპოვნიათ გამწკრივებული. ეს ოთახი ძველებური წიგნთ-საცავი ყოფილა. პროფ. ხილპრეხტის აზრით ხუთი წელიწადი უნდა ყველა წარწერების ამოთხრას და წიგნთ-საცავის საუნჯეთა გადარჩევას. ჰფიქრობენ, რომ ამ ადგილში 150,000-მდე ასეთი წარწერებიანი ნივთია, რომელთა წყალობითაც შესაძლებელი იქმნება ერთ უძველესს კულტურულ ხალხის სრული ყოფა-ცხოვრებისა და ისტორიის აღდგენა. აი რასა სწერს ერთი გაზეთი ამ აღმოჩენათა გამო: „ხილპრეხტის შრომის ანგარიშის კითხვის დროს გაკვირვებას ეძლევი იმ ფაქტის გამო, რომ 7000 წლის წინად ხალხნი ისევე სცხოვრობდნენ, როგორც ეხლა. ეს ხალხები აფასებდნენ ლიტერატურას, ხელოვნებას, მეცნიერებას მართავდნენ მუზეებსა და წიგნთ-საცავებს. მდიდარნი ქალაქებში სცხოვრობდნენ, ხოლო მამულების განსაგებად მათ განსაკუთრებული მოურავები და რწმუნებულნი ჰყავდათ. უმთავრესს შემოსავალს ამ მდიდრებს აძლევდა მიწა, რომელიც იჯარით ჰქონდათ მიცემული გლეხებს. ბარათები და თამასუქები ძალიან ყოფილა გავრცელებული“. ამერიკისა და ევროპის მეცნიერნი მოუთმენლად მოელიან პროფესორ ხილპრეხტის ახალ აღმოჩენებს.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

7 დეკემბერი

**ლონდონი.** როგორც აქ მიღებულ ცნობებიდგან იუწყებიან, ნოქსს დევეტის დევნაზედ ხელი აუღია, რადგანაც ბურების კაპის ახალშენში შესევამ გარემოება შესცვალა როგორც ხმა დადის, ბურების რიცხვი იქ 3,000 მდეა; მომეტებულს ნაწილს ამათგანს ფილიპპტაინამდე მიუღწევია. დევეტმა 4,500 კაცით უკან დაიწია და ამ ჟამად ლედიბრანდიდგან ჩრდილო აღმოსავლეთით იმყოფება ვინბურგზედ. თავდასხმას ყოველ წამს მოელიან.

**იოჰანნესბურგი.** ცხენოსანთა ძლიერი რაზმი ფრენჩის უფროსობით 2 დეკემბერს კრიუგერსდორპში მოვიდა. ამბობენ, დელარეი კლემენტსის ბანაკს კრიჭაში უდგასო; მალე ახალს ბრძოლას მოელიან.

**პეკინი.** გუშინდელს სხდომაზედ ელჩებმა ყველა მუხლებზედ ინგლისის მიერ შეცვლილ ადგილითურთ თანხმობა განაცხადეს. მიუხედავად ამისა, თანხმობის შინაარსის გამოქვეყნებაზედ ელჩები უარს აცხადებენ იმ მოსაზრებით, რომ მათნი მთავრობანი თვითონ გამოაცხადებენ.

**ცეტინიე.** დღეს დილით, სახელმწიფო დაწესებულებათა წარმომადგენლებისა, მოხელეთა და სადიპლომატო კორპუსის თანადასწრებით სასახლის სადღესასწაულო დარბაზში საბჭოს პრეზიდენტმა მთავარს სიტყვა მოახსენა და სთხოვა, რომ ჩერნოგორიის ერის ერთგულობისა და პატივისცემის ნიშნად ესოდენ დიდის კეთილის-ყოფისათვის სამეფო უმაღლესობის ხარისხი მიიღოს. მთავარმა წინადადება მიიღო და სახელმწიფო საბჭოს მადლობა უძღვნა. მთავარმა მიჰმართა აგრეთვე სადიპლომატო კორპუსსა და მადლობა და პატივისცემა განუცხადა ხელმწიფეთ, რომელთაც თავისის მ გობრობის დასამტკიცებლად თანხმობა განაცხადეს, რომ უმაღლესობის ხარისხით იწოდებოდეს იგი.

8 დეკემბერი.

**ფრანკფურტი.** მაინისა. მეორე პალატის დეპუტატებმა კიხლერმა, ლანგდორფმა და სხვებმა მთავრობას წინადადება წარუდგინეს, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკები ა და ინგლისის სადავო საქმისათვის მედიატორეთა სამართლის დასანიშნავად საკავშირო საბჭოში ლაპარაკის აღძვრა თავისს რწმუნებულს დაავალოს და ამ აზრით გარეშე საქმეთა კომისსია იქმნეს დანიშნული. წინადადების განხილვას პირველად ხვალ შეუდგებიან.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგენტოს“ კორრესპონდენტი იუწყება პეკინიდგან: ტიანძინამდე აღდგენილ რკინის გზით მოგზაურობიდგან დავბრუნდი. გზის კანტროლი 60 მილის მანძილზედ გერმანელთა ხელშია, 20 მილის მანძილზედ—რუსთა ხელში. რკინის გზა საუცხოვოდ არის გაკეთებული. პირველად რუსებმა გადასცეს გერმანელებს ოთხი ორთქლმავალი; ორი ამათგანი მაშინვე გამოუსადეგარი აღმოჩნდა, რადგანაც მთელს ღამეს სათადარიგო გზაზედ მდგარიყვნენ გაუხურებელნი, წყლის საწვრეტი მილები გაჰყინვოდა და დასკდომოდა. ერთი სხვა მომცრო ორთქლმავალი აღმოჩნდა კიდევ უვარგისი, რადგანაც გზაზედ სხვას დასჯახებოდა. წინად პეკინიდგან ტიანძინამდე მოგზაურობას სამს საათზედ ნაკლები დრო სჭირდებოდა, ახლა კი თითქმის თორმეტს საათს უნდებიან და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ კანტროლი გაიყვეს. ჩელის პროვინციის მდგომარეობას თან-და-თან უარესობა ეტყობა, ზამთარი მკაცრია. ნემეცების მოქმედებას ცხანჩჟოუში, სადაც მათ გენერალის ნაის მიერ ქალაქის სატუსაღოში დაპატიმრებული მრავალი უსაქმური ხალხი გაანთავისუფლეს, დიდადა ჰკიცხავენ. განთავისუფლებულები შანდუნის საზღვარზე გადიან, სახლებსა სწვამენ, ჰხოცავენ და ჰმართავენ“.

**კელნი.** „Kölnische Zeitung“ ის წერილში „სახელმწიფოთა ერთობა“ ნათქვამია: „მოლოდინი გამართლდა, რომ 7 დეკემბერს საზოგადო ნოტას ხელს მოაწერენო, რომელშიც ჯერ ერთი შეტანილია სახელმწიფოთა შეღავათიანი მცირე მოთხოვნილებანი და მეორე მხრივ გერმანიის სამართლიანი მოთხოვნილებანიც სავსებით მხედველობაში მიღებულიაო. ნოტის შინაარსი ბიულოვა 6 დეკემბერს გამოაცხადა რეიხსტაგში; სხვათა შორის სიტყვები „სიკვდილით დასჯა“ შეცვლილია „რამდენადაც-კი შესაძლებელია მძიმე სასჯელად“ და როგორც წინადაც, მოთხოვნილებანი უცილოდ მისაღებად ახსენიებიან. გარდა ამისა, ინგლისის წინადადებისა თანახმად, ჩამატებულია, რომ ვიდრე ჩინეთი ყველა მოთხოვნილებას არ შეასრულებს, იმ დრომდე პეკინიდგანა და ჩელის პროვინციიდგან მოკავშირე სახელმწიფონი ჯარებს არ გაიყვანენ, თუმცა შეიძლება რომელმამე სახელმწიფომ, რომელსაც ესოდენ დიდი ინტერესი არა აქვს მოლაპარაკებაში, ნივოიეს მიზეზებისა გამო საჭიროდა სცნოს, რომ ნაწილი უვისის ჯარისა, ან-და მთლიანად კიდევაც გაიყვანოს ჩინეთიდგან და სრულიად სხვა დანიშნულება მისცესო. ეს გარემოება საქმის ვითარებას ვრაფრით შესცვლის და ჩინეთის სახელმწიფო კაცნიც, იმედია, საქმის მდგომარეობას ჯეროვანად დაუკვირდებიან და შეიგნებენ, რომ მისსიებისა და გზების დასაცველადა და სადარაჯოდ დარჩენილი უკანასკნელი ჯარი მხოლოდ მაშინ გავა ჩელის პროვინციიდგან, როდესაც უმთავრესნი დამნაშავენი დასჯილნი იქნებიან და სხვა მოთხოვნილებათა შესრულება და საზღაურის გაღებაც უზრუნველ-ყოფილ იქმნებიან. ახლა ნოტას დაუყოვნებლივ ცანსა და ლიხუნგ ჩანგს გადასცემენ.

**პარიჟი.** იმ ახსნა-განმარტებისა გამო, რომლის დროსაც სამხედრო მინისტრი კომენდანტს კიუგინიეს აკიცხავდა საიდუმლო საბუთების ქაღალდის გამოქვეყნების გულისათვის კიუგინიე მანვალერიენის ციხეში იქმნა დაპატიმრებული.

**ლონდონი.** როგორც საღამოს გაზეთების დეპეშებიდგანა სჩანს, კაპის ახალშენში დიდძალი ბურები გადასულან. კოლლესბერგის ოლქი ბურების ხელშია. გუშინ, დილით, კრიუგერს დორპის ჩრდილოეთით დიდი ზარბაზნების სროლის ხმა ისმოდა.

**ამსტერდამი.** კრიუგერი ჰააგაში წავიდა.

**კაპშტადტი.** კაპის ახალშენის მდგომარეობა თან-და-თან საშიში ხდება. 9,000 ბური ორანჟეს მდინარით ახალშენში გადავიდა; მართალია, საბოლოდ საშიში არა არის-რა, მაგრამ ბურებიმ ჰოლლანდიელნი მეგობარნი შეიძლება შეუერთდნენ და ამბოხება გავრცელდეს. ცხენოსანი ჯარის ნაკლულოვანება დიდია. სამხრეთ აფრიკის კარგად მცოდნენი ურჩევენ, რომ რაც-კი რამ სახელმწიფოს ცხენოსანი ჯარი ჰყავს, ყველა სამხრეთს აფრიკაში გაგზავნოს.

**პეკინი.** ელჩებმა საზოგადო ნოტას ინგლისის დამატებითურთ ხელი მოაწერეს; ნოტაში ნათქვამია, რომ პეკინიდგანა და ჩელის პროვინციიდგან სახელმწიფონი ჯარს იმ დრომდე არ გაიყვანენ, ვიდრე ჩინეთი სახელმწიფოთა მოთხოვნილებათ არ შეასრულებს. ამერიკელს კონჯს ნოტაზედ ჯერ ხელი არ მოუწერია იმის გამო, რომ თავისს მთავრობისაგან დეპეშა მიიღო, რომელშიაც ითხოვენ, რომ უკანასკნელი ცვლილება მიღებულ იქმნეს. კონჯერის აზრით, ვაშინგტონის კაბინეტი თანხმობას განაცხადებს.

**ტომ ქი.** იმპერატორის ნიკოლოზ II ის სახელზედ დაარსებული სატეხნოლოგო ინსტიტუტი გახსნილ იქმნა.

## განცხადებანი

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. 3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




**ახალი საშუალება**

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გმოვიდა კიდევ ახალი საშუალება

**„კვერცხის რძე“**

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარს კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდომია:** დიდი ქილა—2 მან; პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიქო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ №15, სადგ. 10. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთიქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში. იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიქო მაღაზიაში.

ქალაქ გარედ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გავგზავნებით. (100—211—16)

Дозволено цензурою. Тифлисъ, -8го Декабря 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე